ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 177

(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

ქალაქი ბათუმი 03 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ „აჭარის მუზეუმი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის - სულხან ოქროპირიძის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ ტარიელ მახარაძე (პ/ნ 61001023308) (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასების ცხრილი“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მხარეთა მიერ დამოწმებული „ფასების ცხრილი“, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელს მომსახურების გაწევის პროცესში ევალება შემსყიდველის მიერ გამოცხადებული აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის **NAT190014987** ფარგლებში გამარჯვებული კომპანიის მიერ ხელოვნების მუზეუმის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა (CPV-71247000).

2.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ ის სრულად გაეცნო აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის **NAT190014987** სატენდერო დოკუმენტაციასა და გამარჯვებული კომპანიის მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს.

2.3. ტექნიკური ზედამხედველობა მოიცავს შემდეგს:

ა) კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე;

ბ) ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი სამუშაოთა მოცულობის და პროექტთან შესაბამისობის დადასტურება, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის და შემსყიდველთან შეთანხმებული შესაბამისი ერთეული სამუშაოთა ღირებულების დადასტურება.

გ) სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა და შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი;

დ) საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისათვის საკითხის დროულად დაყენება და შესრულებაზე კონტროლი;

ე) მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობის შემოწმება;

ვ) ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმება, შეფასება და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობა, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;

ზ) შენობის ძირითადი და საპასუხისმგებლო კონსტრუქციების გამოცდისა და მიღება- ჩაბარების განხორციელება;

თ) მონაწილეობა სამშენებლო კონტროლისა და მშენებლობის ცალკეული ეტაპის სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შემოწმება-შეფასებაში და პროექტთან შესაბამისობის დადგენაში;

ი) უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვიანობა;

კ) პირველადი საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებაზე კონტროლი და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ნაკლოვანებებისა და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანა;

ლ) კონტროლი სამშენებლო ორგანიზაციის მიერ საავტორო ზედამხედველობისა და სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მითითებების მიწერილობების, აგრეთვე ტექნიკური ზედამხედველობის იმ მოთხოვნათა შესრულებაზე, რომლებიც მიეკუთვნება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს;

მ) მონაწილეობა მუშა კომისიების მიერ ცალკეული სამშენებლო სამუშაოების ხარისხზე და საპროექტო მონაცემთა შესაბამისობაზე ჩატარებულ შემოწმებებში;

ნ) საჭიროების შემთხვევაში პროექტსა და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ შემსყიდველისათვის არგუმენტირებული წინადადებების წარდგენა, ასევე კორექტირებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადება საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით ან მის გარეშე (შემსყიდველის მოთხონისამებრ);

ო) **მშენებლობის/რეაბილიტაციის პროცესში შემსყიდველისათვის სისტემატიურად (არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ) ინფორმაციების მიწოდება მშენებლობის მიმდინარეობისა და გეგმა-გრაფიკის შესრულების შესახებ. ინფორმაციას თან უნდა ერთვოდეს ახსნა-განმარტება დაგეგმილი სამუშაოების დროულად შეუსრებლობის მიზეზების მითითებით.**

პ) სამუშაოების შესრულებისა და მასალების ხარისხის კონტროლი.

ჟ) ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია დაესწროს შესრულებული სამუშაოების ოდენობისა და ღირებულების მიზნით დანიშნულ ექსპერტიზას.

2.4. ტექნიკური ზედამხედველი თავისი ვალდებულებების შესასრულებლად უფლებამოსილი და ვალდებულია სამუშაოების მწარმოებელს მოთხოვოს სამუშაოების დროული, ხარისხიანი და პროექტის სრული დაცვით შესრულება. მიმართოს მას ზეპირად, ხოლო შესრულებლობის სემთხვევაში წერილობით და ამის შესახებ აცნობოს ასევე შემსყიდველს.

2.5. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მწარმოებელი არღვევს, რომელიმე ზემოაღნიშნულს და ამის თაობაზე ტექნიკურ ზედამხედველს არ გააჩნია ოფიციალური მიწერილობები, ჩაითვლება, რომ ტექნიკური ზედამხედველი არაჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, რის საფუძველზედაც შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2300,00 (ორიათასსამასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.2 მომსახურების მიღება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების (კონკრეტულ ობიექტებზე გაწეული მომსახურება) შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულებისა და მოცულობის მითითებით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და ,,ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიშის" საფუძველზე.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.

4.5. მომსახურების მიწოდების ადგილია აწარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია.

4.6. ყოველ კონკრეტულ მიწოდებაზე მომსახურების დასრულებად ითვლება ,,მიმწოდებლის" მხრიდან შესრულებულ სამუშაოზე შესაბამისი ,,ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიშის" წარმოდგენა, რაც ჩაითვლება დაფინანსების განხორციელების საფუძვლად.

4.7. მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 30 აპრილამდე პერიოდი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით ხელშეკრულების 5.3 პუნქტით დადგენილი წესით.

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.
6.3. 6.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.5. მიმწოდებლის მიერ 6.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
6.6. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველს გააჩნია მიმწოდებლის ნხრიდან ხელშეკრულების მოთხოვნათა შესრულების ვადის დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნათა ნებისმიერი მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ მოშალოს ხელშეკრულება და დარჩენილი მომსახურების მთლიანად ან ნაწილობრივ შესასრულებლად განახორციელოს ახალი შესყიდვა.
6.7. მიმოწდებელი ვალდებულია თვითონაც დაიცვას და სამუშაოების წარმოებელსაც მოსთხოვოს სამუშაოების წარმოების პროცესში შემდეგი: ზედმიწევნით დაიცვას მოქმედი წესები და ნორმები, კანონები, დებულებები, ნორმატიული აქტები, ბრძანებები, სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინსტრუქციები და ბრძანებები, უსაფრთხობის ტექნიკის, პროფესიონალური უსაფრთხოების წესები, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის წესების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ან შეიძლება იქნან მიღებული უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხელშეკრულების მოქმედების დროს. მიმწოდებელი პასუხს აგებს საკუთარი ქვეკონტრაქტორების მიერ ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაცვაზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის ბრძანებით განსაზღვრული პირები.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით. ვადაგადაცილებად ჩაითვლება ინფორმაციების წარმოდგენის გადაცილება, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შეუსრულებლობა.
8.2. მიმწოდებლის მიერ ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივ შესურულებლობის ან არაჯეროვანის შესრულების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4. შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს თანხა დაუკავოს/გამოუქვითოს მიმწოდებელს, ხელშეკრულებით კუთვნილი გადასახდელი თანხისაგან, თუ მიმწოდებელი უარს იტყვის მის გადახდაზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
9.4. 9.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას;
ბ) თუ მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია შესაბამის ვადებში;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) თუ არსებობს კონკრეტული საფრთხე იმისა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, თუკი გამოვლინდა, რომ მიმწოდებელი არ ახდენა სამშენებლო ობიექტებზე გასვლებს და კონტროლს, მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის პროცესი, მიმწოდებლის ან/და მისი ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიმართ წინასწარი გამოძიების დაწყება. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
11.8. წინამდებარე ხელშეკრულების 11.1. პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლისათვის დარჩენილი თანხის ანაზღაურება აღარ განხორციელდება მიუხედავადა იმისა, მასზე გაფორმებულია თუ არა მიღება/ჩაბარების აქტი. „ე“ ქვეპუქნტის შემთხვევაში აღნიშნული პუნქტის მოქმედება გავრცელდება, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
13.4. მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტობინება შეიძლება გაეგზავნოთ მათ ელექტრონულ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ან/და სამეწარმეო რეესტრში. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მეორე სამუშაო დღეს.

13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მაისამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „აჭარის მუზეუმი"
ბათუმი, ხ. ახვლედიანის ქუჩა N4
საიდ.კოდი N 245769271
სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი
სულხან ოქროპირიძე

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი ტარიელ მახარაძე
პ/ნ 61001023308
სს თიბისი ბანკი
ანგ.N GE90TB 7356 7450 6360 0033
კოდი TBCBGE22

ტარიელ მახარაძე